N 31

3 ივნისი, 2024

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ბატონ ვასილ გედევანიშვილს

ბატონო ვასილ,

გაცნობებთ, რომ შპს „პარვუს ბასრა“ მდ. ბჟუჟას ხეობაში ახორციელებს ჰიდროელექტროსადგურების ,,ბასრა 1'', ,,ბასრა 2'', ,,ბასრა 3'' და ,,ბასრა 4'' ჰესების მშენებლობა-ექსპლუატაციას. ვინაიდან ყველა აღნიშნული ჰესი 2 მგვტ-ზე ნაკლები სიმძლავრის იყო, არ საჭიროებდა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი პროცედურების გავლას. შესაბამისად მოცემულ ეტაპზე, არსებული სქემით (2 მგვტ-ზე ნაკლები სიმძლავრის ობიექტები) ოთხივე ჰესის მოწყობითი სამუშაოები დასრულების ეტაპზეა.

საწყის ეტაპზე ,,ბასრა ჰესების'' სიმძლავრეები განისაზღვრა გენერირებული ენერგიის საერთო ქსელში ჩართვის შესაძლებლობიდან გამომდინარე, რაც ცალსახად დამოკიდებული იყო რეგიონში მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების არსებობასთან. ხოლო ვინაიდან, პროექტის დაგეგმვის და შემდგომი განვითარების ეტაპზე საკვლევ არეალთან ახლოს იდენტიფიცირებულ ერთადერთ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზს წარმოდგენდა 35 კვ ძაბვის ეგხ ,,შემოქმედი'', საპროექტო გადაწყვეტის შესაბამისად დაიგეგმა-განხორციელდა მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტრო სადგურების მოწყობა და წარმოებული ენერგიის საერთო ქსელში ჩართვის მიზნით 35კვ ეგხ ,,შემოქმედთან“ დაერთება.

დღეს არსებული მოცემულობით, სიტუაცია შეიცვლა: საკვლევ რეგიონში დაიწყო 110 კვ ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის ,,ოზურგეთი-ზოტიჰესის'' მშენებლობა (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება N2-1078; 12/11/2019), რამაც შესაძლებელი გახადა გაიზარდოს ,,ბასრა ჰესების'' დადგმული სიმძლავრე და გენერირებული ელექტროენერგია ჩაერთოს ,,ოზურგეთი-ზოტიჰესის'' 110 კვ ძაბვის ქსელში. რეგიონში გაჩნდა ,,ბასრა ჰესების'' საპროექტო სიმძლავრეების გაზრდის და წარმოებული ენერგიის გაზრდილი რაოდენობის საერთო ქსელში ჩართვის ახალი პერსპექტივა.

,,ბასრა ჰესების'' სიმძლავრეების დაკორექტირება განსაზღვრულია ასათვისებელი წყლის ობიექტ(ებ)ის ჰიდროლოგიური მახასიათებლების შესაძლებლობიდან გამომდინარე და ძალურ კვანძებში (ჰესის შენობებში) მაღალი გამომუშავების ტურბინ(ებ)ის განთავსების გზით. ხოლო ,,ოზურგეთი-ზოტიჰესის'' 110 კვ ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემ ხაზთან მიერთება დაგეგმილია არსეული 35 კვ ტრანსფორმატორიდან 35 კვ (30 მ) საკაბელო ხაზის განყვანისა და ,,ოზურგეთი-ზოტიჰესის'' ეგხ-სთან 110 კვ ქვესადგურის მოწყობის გზისთ.

შპს „პარვუს ბასრას“ მიერ დაგეგმილი საქმიანობა, კოდექსის I დანართის 22 პუნქტის შესაბამისად, გზშ-ის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა და საჭიროებს დაგეგმილი საქმიანობის შესახებ გზშ-ის სკოპინგის ანგარიშის/განცხადების სააგენტოში განსახილველად წარდგენას. დაგეგმილი პროექტის ფარგლებში ხორციელდება ასევე კოდექსის II დანართით

ს.ს.ი.ს. გარემოს ეროვნული სააგენტო
03 - 06 2024 წ.
№ 5503

განსახღვრული საქმიანობა „35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა, 110 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის ქვესადგურის განთავსება".

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-8 მუხლის საფუძველზე, სკოპინგის პროცედურის გავლის და შესაბამისი დასკვნის მიღების მიზნით წარმოგიდგენთ ,,მდინარე ბჟუჟას ხეობაში „ბასრა 1", „ბასრა 2", ,,ბასრა 3" და ,,ბასრა 4" ჰესების სიმძლავრეების გაზრდის და ქსელზე დაერთების პროექტის'' სკოპინგის ანგარიშს.

სკოპინგის განცხადების დანართები:

1. სკოპინგის ანგარიში (მატერიალური და ელექტრონული)
2. Shp ფაილები (ელექტრონული)

პატივისცემით,

მამუკა სხილაძე

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

შპს ,,პარვუს ბასრა"
ს/ნ 405564438
მის: კოსტავას ქუჩა 37/39
ბიზნეს ცენტრი გრატო პასაჟი